

გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

**პროექტი “გენდერი და პოლიტიკა
სამხრეთ კავკასიაში”** ხორციელდება
გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)
მიერ საქართველოს პარლამენტთან
გჭიდრო თანამშრომლობით. პროექტს
ფინანსურ მხარდაჭერას უწევს შვედეთის
საერთაშორისო განვითარების სააგენტო
(SIDA) და საქართველოს მთავრობა.

პროექტის სტრატეგიაა დემოკრატიული
განვითარების ხელშეწყობა პოლიტიკაში
გენდერული თანასწორობის მიღწევით.

პროექტი მიზნად ისახავს გენდერული
პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობასა
და გადაწყვეტილების მიღების დონეზე
ქალთა წარმომადგენლობის ზრდის
მხარდაჭერას.

ბროშურა მომზადებულია პროექტის **“გენდერი
და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში”** ფარგლებში და
მასზე მუშაობდნენ:

ნინო ლაგვილავა – პროექტის კოორდინატორი

მედეა ბადაშვილი – პროექტის კონსულტანტი

ირინა ვვანია – პროექტის კონსულტანტი

თეა ვაშაკიძე – პროექტის სტაჟორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მე - XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება გენდერის თეორიის, როგორც ახალი მეცნიერული დარგის განვითარება.

მეცნიერებათა ქსელი, რომელიც ჩართულია გენდერულ კვლევებში მეტად ფართოა: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკა, დემოგრაფია, პოლიტოლოგია, ფილოლოგია, სოციალური ლინგვისტიკა, სემიოტიკა, ეთნოგრაფია, კულტუროლოგია და სხვა.

თანამედროვე საზოგადოების წინაშე აქტუალურად დგას გენდერული თანასწორობის საკითხი. სქესის, რასის, რელიგიურ და კულტურულ თავისებურებათა თანასწორობასთან ერთად, გენდერული თანასწორობა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. საქართველო, რომელიც ადგას დემოკრატიის განვითარების გზას, შესაბამისად, ასრულებს მის მოთხოვნებს და ახორციელებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას.

1. რა არის ბენღერი

თანამედროვე სოციალური მეცნიერებები გენდერსა და სქესს ერთმანეთისაგან განასხვავებენ. ტრადიციულად სქესი გულისხმობს ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, რომლის საფუძველზეც ადამიანები იყოფიან ქალებად და კაცებად. სქესი, ანუ ადამიანის ბიოლოგიური თავისებურება, არის ქალისა და კაცის, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სოციალური განსხვავებების საფუძველი.

“გენდერი” ინგლისური ენიდან გავრცელებული ტერმინია. ამ სიტყვას ორმაგი დატვირთვა აქვს: გულისხმობს ბიოლოგიურ სქესს და, ასევე, სქესის სოციალურ მნიშვნელობას, რომელიც განიხილება, როგორც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი განზომილება და რომლისთვისაც, შესაბამისად, დამახასიათებელია ცვლილებები დროსა და სივრცეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიოლოგიურ განსხვავებასთან ერთად, განსხვავებულია ქალისა და კაცის სოციალური როლებიც, მათი ემოციური მახასიათებლები და ქცევის ფორმები. ანთროპოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, ეთნოგრაფებმა და ისტორიკოსებმა უკვე დიდი ხანია განსაზღვრეს ქალისა და კაცისათვის დამახასიათებელი როლები და ქცევის ნორმები. აქედან გამომდინარე, ნათელი

ხდება გენდერული როლების სახეცვლილება დროსა და სივრცეში. მაგალითად, რაც ერთ საზოგადოებაში ითვლება ქალისთვის "ტიპიურ" საქმიანობად, მეორეში ის შეიძლება განსხვავებული და მამაკაცისთვის დამახასიათებელი იყოს.

გენდერი არის ცნება, რომელიც გულისხმობს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალისა და კაცის ინტელექტუალური შესაძლებლობების, მათი პიროვნული თვისებებისა და ქცევის შესახებ. გენდერი, როგორც საზოგადოების მიერ შექმნილი კონსტრუქტი, განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის სოციალურ მოდელს, რაც განაპირობებს მათ როლსა და მდგომარეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გენდერული როლები წარმოადგენს კონკრეტული საზოგადოების მიერ განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის ქცევის ფორმებს, ნორმებსა და ღირებულებებს.

გენდერული სტერეოტიპები გაბატონებული შეხედულება ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებისა და როლების შესახებ, ანუ როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან კაცი ამა თუ იმ საზოგადოებაში.

2. გენდერული თანასწორობა

თანასწორობა ადამიანის უღებათა დაცვის მთავარი პრინციპია, რომელსაც ეფუძნება უფლებათა დაცვის ნებისმიერი ინსტრუმენტი.

გენდერული თანასწორობა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში; ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას; ორივე სქესის წარმომადგენელთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და დასაქმებისათვის თანაბარი პირობების შექმნას.

გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალის და მამაკაცის თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

3. ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები და დოკუმენტები

მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან საერთაშორისო საზოგადოებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც მსოფლიოს ცივილიზებულმა საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება ერთობლივად ეზრუნა ადამიანზე, მის ღირსებასა და თანასწორი უფლებების უზრუნველყოფაზე. 1945 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხოლო 1948 წელს დაიწერა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (Universal Declaration of Human Rights), რომელიც გახდა საწყისი ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი თანაბარი მონაწილეობის საერთაშორისო აღიარებისა. ამის შემდეგ საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე იქმნება მრავალი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, დეკლარაცია, კონვენცია თუ პაქტი, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა.

”გაეროს კონვენცია ქალის პოლიტიკური უფლებების შესახებ” (UN Convention on the Political Rights of Women, 1952) – კონვენციის მთავარი მიზანია უზრუნველყოს

ქალისა და მამაკაცის პოლიტიკაში თანაბარი მონაწილეობის უფლება. ამ კონვენციის თანახმად, ქალს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

“შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია” (*International Labor Organization (ILO) Convention, 1958*) მოიცავს სოციალური და შრომის საკითხების ფართო სპექტრს: ადამიანის უფლებებს, მინიმალურ ხელფასს, დასაქმების პოლიტიკას და ამ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპის აუცილებელ გათვალისწინებას.

ყველა ქვეყანა, რომელიც შეუერთდება ამ კონვენციას, ხელი უნდა შეუწყო დასაქმების დისკრიმინაციის აღმოფხვრას პოლიტიკაში.

“კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ” (*Convention against Discrimination in Education, 1960*) – მიღებულია UNESCO – ს მიერ. იგი ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების განათლების თანაბარ შესაძლებლობებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

“კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” (*Convention on the Elimination of all Forms of Discrimination against Women - CEDAW*). კონვენციას ხელი მოეწერა 1979 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1981 წელს. კონვენცია ითვალისწინებს

ქალთა თანაბარ უფლებებს ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა თუ ქორწინება. ის ეხება, როგორც წინასწარ განზრახულ დისკრიმინაციას, ასევე იმ ქმედებებს, რომელთაც დისკრიმინაციული შედეგი აქვთ. მისი ძირითადი მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რომელიც კონვენციის მიხედვით შემდეგნაირადაა განმარტებული:

“ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარების, გამოყენების ან განხორციელების შესუსტება, ან მთლიანად უარყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო თუ ნებისმიერ სხვა სფეროში.”

ვენის დეკლარაცია (The Vienna Declaration - 1993) - ამ დეკლარაციის მიხედვით ქალისა და გოგონების უფლებები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილია და მოითხოვს გენდერზე დაფუძნებული ძალადობის აღმოფხვრას,

რაც გულისხმობს აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებას ქალის პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ძალადობის აღმოსაფხვრელად. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალის უფლებების დარღვევა ადამიანთა უფლებების ძირითადი პრინციპების დარღვევის ტოლფასია.

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა. (Beijing Declaration and Platform for Action, Fourth World Conference on Women - 1995)

1995 წელს პეკინში ჩატარდა გაეროს მე-4 მსოფლიო კონფერენცია ქალთა პრობლემებზე - "მოდრობა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისათვის". ამ კონფერენციაზე 189 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები შეთანხმდნენ მოქმედების ხუთ-წლიან გეგმაზე, რომლის მიზანიც გახლდათ ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება; მათი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებით უზრუნველყოფა. სამოქმედო გეგმაში ასახული იყო 12 ძირითადი პრიორიტეტი:

1. ქალი და სიღარიბე;
2. ქალი და განათლება;
3. ქალი და ჯანმრთელობა;
4. ქალი და ძალადობა;
5. ქალი და შეიარაღებული კონფლიქტები;
6. ქალი და ეკონომიკა;
7. ქალი გადაწყვეტილების მიღების დონეზე;

8. ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა;
9. ქალის უფლებები;
10. ქალი და მას-მედია;
11. ქალი და გარემო;
12. მოზარდი გოგონები.

“უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325”
(Security Council 1325 Resolution (October 2000)) 2000 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო მნიშვნელოვანი რეზოლუცია: **“ქალი, მშვიდობა და უსაფრთხოება”**. რეზოლუცია 1325 ხაზს უსვამს ქალთა მონაწილეობის ზრდას მშვიდობის მშენებლობასა და კონფლიქტების მოგვარებაში; ქალთა უფლებების დაცვას, როგორც კონფლიქტის პერიოდში, ასევე მის შემდეგ.

“ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური პროტოკოლი” (Optional Protocol to CEDAW) 2000 წლის 22 დეკემბერს ძალაში შევიდა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ინდივიდებს შეიტანონ საჩივარი გაეროს CEDAW-ის კომიტეტში. პროტოკოლი ასევე უფლებას ანიჭებს კომიტეტს აწარმოოს გამოძიება კონვენციის სერიოზულ ან სისტემატურ დარღვევებზე.

გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნებში (UN Millennium Development Goals - UN MDGs 2000). ათასწლეულის

განვითარების მიზნებში გაერთიანებულია
8 მიზანი:

1. უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა;
2. განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესება;
3. სქესთა თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა;
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
6. აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;
7. ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა;
8. განვითარებისათვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესი საქართველოში

ქალის უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და რეალურად მოქმედი მექანიზმების შემუშავებაში საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

1994 წლის 22 სექტემბერს საქართველო შეუერთდა კონვენციას "ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რითაც მან ვალდებულება აიღო, რომ მიიღებს ყველა საჭირო ზომას ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. მიუხედავად ამისა, საქართველოში პეკინის კონფერენციამდე გენდერული საკითხები აქტუალურად არ ითვლებოდა არც ქვეყნის მთავრობისა და არც ფართო საზოგადოებისათვის.

1997 წელს მუშაობა დაიწყო გაეროსა და საქართველოს მთავრობის ერთობლივმა პროექტმა - "გენდერი და განვითარება" - რომელიც ძირითადად, პეკინის კონფერენციის საფუძველზე შეიქმნა. 1997 წლის ბოლოს საქართველომ შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელმაც, თავის მხრივ, მოიცვა პეკინის კონფერენციის ძირითადი მიმართულებები.

პეკინის პლატფორმაში ასახული 12 პრიორიტეტიდან საქართველომ სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინა ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები და ის მხოლოდ 7 პრიორიტეტს მოიცავდა.

1998 წლის 20 თებერვალს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა - "ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისია", რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც მთავრობის წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები. კომისია მიზნად ისახავდა ქვეყანაში გენდერული ბალანსის მიღწევასა და გარდამავალ ეტაპზე ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თბილისში 1998 წელს ჩატარდა კონფერენცია "ქალი და საზოგადოება" და მიღებული იქნა ეროვნული სამოქმედო გეგმა - "საქართველოში 1998-2000 წლებში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ", რომელიც მოგვიანებით 1998 წლის 18 ივნისს იქნა დამტკიცებული პრეზიდენტის მიერ (ბრძანებულება #308). ამის შემდეგ განახლდა სამოქმედო გეგმა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (#64) დამტკიცებული იქნა 2001-2004 წწ. სამოქმედო გეგმა ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამ პერიოდში ასევე შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ქალთა მიმართ

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 2000-2004 წწ. და 2003-2005 წწ. ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმები.

ვარდების რეკოლუციის შემდეგ, როდესაც საქართველოში მთავრობა შეიცვალა, ბუნებრივია, მოხდა ცვლილებები ამ მიმართულებითაც. ქვეყნის ახალმა მთავრობამ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით და დაიწყო ამ საკითხზე აქტიური მუშაობა. საქართველოში, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ახალი ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმები როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო დონეზე.

2004 წლის 27 ოქტომბერს (პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებულება #105/3) გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" - მხარდაჭერით შეიქმნა "პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო". საბჭოს წევრები არიან პარლამენტარები, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს მიზანია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა, ამ თვალსაზრისით სახელმწიფო სტრატეგიის შექმნა და მომავალში მისი განხორციელების ხელშეწყობა.

2005 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილების (დადგენილება 109, 28.06.2005, ქ. თბილისი) საფუძველზე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა "გენდერული თანასწორობის საკითხთა დროებითი სამთავრობო კომისია", რომელშიც შედიან მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, პარლამენტის ერთი წევრი, რომელიც არის პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს კოორდინატორი. კომისიის მიზანია გენდერული თანასწორობის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება და ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

2006 წლის თებერვალში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ როგორც პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული "გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს", ასევე "გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისიის" წევრები. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს ქალთა ფონდისა (UNIFEM) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, შეიმუშავა სახელმწიფო გენდერული კონცეფცია და სამოქმედო

გეგმა.

"კონცეფციის მიზანია ქალსა და მამაკაცს შორის თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების და მათი ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა. იგი აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრის და გენდერული თანასწორობის მისაღწევად ღონისძიებების გატარებას".

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო გენდერული კონცეფცია. პარლამენტის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა რეალურ პრიორიტეტს წარმოადგენს.